

კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14^e)

№ 6

ნოემბერი 1937

№ 6

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ჰაიდარ ბაშმატ — მომავალი ქამი
 ვლ. ახმელაული — კვლავ გარეშე ხაზის შესახებ
 გრ. დიასამიძე — ილია ბრძენის საღიღებლად
 დ. სალირაშვილი — დროა ეს შევიგნოთ!
 ექ.გ. ჭავჭავაძე — ეროვნული მორალისა-
 თვის

გენ. გ. კვინიტაძე — წერილი რედაქციის მი-
 მართ (უფროსი მხედრ. დადგენილება)
 ქართული განძეულობა უცხოეთში
 ემიგრაციაში: აგვისტოს დღე ბერლინში,
 ნეკროლოგიც ასეთი უნდა; ილია ჭავჭავაძის
 დღე პარიზის ქართულ კოლონიაში.

მოხავალი ჩამი

ესპანიის სამოქალაქო
 ომის დრამატიულმა
 პერეპეტიებმა და მსოფლიო მნიშვნელობის
 ამბებმა, რომელთაც ადგილი აქვთ შორეულ
 აღმოსავლეთში, სრულიად ჩამოაცილეს ევ-
 როპის კანცელიარიების და საზოგადოებრივი
 აზრის ყურადღება იმ შინაურ პროცესებს,
 რომელიც ამ-უამად საბჭოთა რუსეთში ხდე-
 ბიან.

მართალია, გაზეთები ისევე უცვალებლად
 ბეჭდავენ ყოველ დღე, როგორც საბირჟო
 ქრონიკას ანუ ამინდის ბიულეტენებს, მორიგ
 სისხლიან სტატიისტიკას, თუ რამდენი დაიხვ-

რიტა „ხალხის მტერი“ „განხორციელებულ
 სოციალიზმის ერთად ერთ ქვეყანაში“.

მაგრამ სამხედრო გართულების შიში ხმელ-
 თა შუა ზღვაში, რომელმაც უცაბედათ ასეთი
 რეალური ხასიათი მიიღო და ეგოდენ ახლო
 ეხება ყოველ ევროპიელს, არ იძლევა სურ-
 ვილს, არც მოცალებას, რომ აღამიანი გულ-
 დასმით ჩაუკვირდეს საბჭოთა რუსეთში წარ-
 მებულ ცვლილებებს.

ევროპიელი საშუალო მკითხველი, ის, ვი-
 საც განთქმული „ქუჩის კაცი“ ჰქვიან, თვალ-
 ყურს ადევნებს და იქნება გულმოდგინეთაც
 თუ რას აკეთებს მოსკოვი საერთაშორისო

პოლიტიკის სარბიელზე, სადაც ის ჩაფლულია რთულსა, ძნელსა და სახიფათო თამაშში.

ეს ყურადღება სავსებით კანონიერია, გამოწვეული, როგორც საბჭოთა ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომელიც საერთო ევროპიული ომის გაჩალებას აშკარად ამზადებს, ისე იმ გარემოებით, რომ დასავლეთ ევროპის ზოგ სახელმწიფოზე მოსკოვის გავლენა თვალსაჩინოა.

მიუხადავად ამისა, ამბები, რომლებსაც ადგილი აქვთ საბჭოთა კავშირის წიაღწი, ისე-ნად მნიშვნელოვანია, მათი გადამჭრელი გავლენა არა მარტო „ხმელეთის მეექვსედის“ ბე-დზე ისე უდავოა, რომ მეტი არ იქნება მათზელ შევჩერდეთ...

X

დღეს უკვე ზედმეტია მტკიცება იმისა, თუ რა როლი ითამაშეს რუსეთის იმპერიის არა-რუს ერებმა 1917 წლის რევოლუციაში და სამოქალაქო ომში, რომელიც ბოლშევიკების გამარჯვებით დამთავრდა.

ამ უამაღ არავინ აღარ უარჲყოფს, რომ ლენინის საბოლოო გამარჯვება დროებით მთავრობაზედ და თეთრ არმიაზედ ყველა შინაფრინტებზედ, წინასწარ უზრუნველ ყოფილი იყო სამი მართლაც და გენიოსური ლოზუნგის საშუალებით: „ძირს ომი“, „დაუყონებლივ დატაცება მემამულეთა მიწებისა“, და „ეროვნებათა თვით - გამორკვევა გამოყოფამდისაც“-კი.

ჩვენა ვფიქრობთ, რომ ამ სამ ლოზუნგში ყველაზე გადამჭრელი მნიშვნელობა უკანასკნელს ჰქონდა.

თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ლატიშთა ბატალიონების დაუხმარებლად, ცენტრებში ვერ განმტკიცდებოდა.

თუ არა ბაშკირთა და თათრების რაზებიციმზირის ფრინტზედ, თუ არა ყუბანის არმიის დაშლა, რაიცა გამოწვეული იყო ყუბანის ყაზახთა ეროვნული მოძრაობით, თუ არა

უდრევი და სისხლის მღვრელი ომი, რომელიც გააჩალეს ჩრდილო კავკასიის მთიელებრივ ნიკინის „მოხალისეთა არმიის“ წინააღმდეგ, -- საბჭოთა ხელისუფლება ამ სამოქალაქო ომი-დგან გამარჯვებული ვერ გამოვიდოდა.

ლენინი კარგად ხედავდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალურ ფაქტორს ისეთ თვალ - უწვდენელ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 50 პროცენტი არა - რუსის სისხლისა იყო და რომელიც მახვილის გრძნობით განიცდიდა თავის თავზედ რუსულ სახელმწიფოს მონობის ელელს და ელოდა არა მარტო სოციალურ თავხსნილობას, არამედ ეროვნულ განთავისუფლებასაც.

ეს იყო მიზეზი, რომ საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც განსაკუთრებით საგარეო საკითხებში, ჰკული რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკაზედ არა-სოდეს ხელი არ აუღია, ვიდრე ორი უკანასკნელი წელი, ემყარებოდა საბჭოთა კავშირში შემავალ ერების ფორმალურ თანასწორობას.

პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობა მეტ - ნაკლების თანამიმდევრობით და განსაკუთრებით დასაწყისში, ცდილობდა შეექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს უარს ამბობდა რუსულ „ველიკოდერუავობაზედ“ და შოვინიზმზედ და თითქოს რუსი და არა - რუსი ერების თანასწორობის მომხრე იყო.

ამისი გარეგანი გამოხატულება. იყო საბჭოთა პირველი კონსტიტუციები და რუსეთისათვის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წედება.

მაგრამ საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკის პრაქტიკაში ნამდვილად მუდამ ქანაობის წესი არსებობდა.

საკავშირო და ავტონომიურ ნაციონალურ რესპუბლიკებში, ადგილობრივი კომუნისტური პარტიების მდივნები, ძალიან ხშირად (ხოლო შუა - აზიის რესპუბლიკებში თითქმის მუდამ) არა ადგილობრივი ერისანი, მოსკო-

ვის ცენტრის ნამდვილი გენერალ - გუბერნატორები იყვნენ.

მათ ხელში იყო ფაქტიურად მართებლობის ყველა ჭახრაკი, ხოლო კონსტიტუციური ხელისუფლების აპარატი თავის ცაკ - ით და სოვნარკომით მხოლოდ უბრალო დეკორუმი იყო.

ჩვენს გამოცემებში, როგორც აგრეთვე მთელს პრესაში, რომელსაც მოსკოვის მიერ დაჩაგრული ერები საზღვარგარეთ ბეჭდავენ, არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული „გაბატონებულ“ ერის ველიკოდერუავული ხულიგანობის მაგალითები ადგილებზედ.

საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკები თანდათან ნამდვილ რუსულ გუბერნიებად იქცნენ.

მაგრამ „უმაღლესი“ პოლიტიკის მოსაზრებით, ცენტრი ჯერ კიდევ დიდ ხანს საჭიროდ სთვლიდა, რათა თანასწორობის ეს ფიქცია შეენახა...

ხელისუფლების ამ თანდათან ევოლუციას, უფრო და უფრო დაშორებულს ყოფილ დოკტრინაზედ, რომელიც კომუნისტურ შესამოსს და ინტერნაციონალურ ლოზუნგებს მხოლოდ გარეშე ქვეყნებისათვის ინახავდა პირის წამლად, შეუძლებელია გავლენა არა ჰქონებოდა ეროვნულ საკითხის დაყენებაზედაც.

ფორმალური ბზარი სჩიტემას სტალინის კოასტიტუციამ დამართა, იმ მთელი რეგიპრეროგატივების წართმევით და ცენტრზე გადაცემით, რომლებიც უწინველი კონსტიტუციების ძალით, მოკავშირე რესპუბლიკებს ეკუთვნოდნენ.

ამის შემდეგ, ეტყობა მოსკოვმა გარასწყვიტა, რომ ხათრი არაფრისათვას არ კაეწია. ეროვნულ რესპუბლიკათა ხელისუფლების ფაქტიური შეკვეცა და თანდათანი უბოდიშორუსითიკაცია კულტურულ - ეროვნულ ცხოვრების ყველა დარგში, სრული და პროგრესიული ნაბიჯით მიღის. უკანასკნელ სა-

მი - ოთხი თვის ამბებმა ხომ ეროვნულ რესპუბლიკათა აკლების ნამდვილი ხასიათი მიზანი იღეს.

არ გადარჩა არც ერთი მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც ჯანყი არ აღმოეჩინათ, სადაც ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელნი, ყველა დამსახურებული „ორდენოსანი“ პარტიული მოღვაწე, მომეტებულად ბოლშევიკურ ხელისუფლების შემომცილებელნი თავის სამშობლოში, — „ბურუუზიული ნაციონალისტები“ არ გამომდგარიყვნენ, რომლებიც „თავის რესპუბლიკების ს. ს. რ. კ - სგან განდგომაზედ“ არა ფიქრობდნენ.

რას უნდა ნიშნავდეს ასეთი ბრალდება და რა მუქარას უნდა წარმომადგენდეს იგი „უდემოკრატიულს რესპუბლიკაში მსოფლიოში“ საყოველთაოდ ცნობილია.

ამის დასასურათებლად საკმაოა ითქვას, რომ ამ მცირე ხანის განმავლობაში, ქანდაკის კაცებს რომ თავი დავანებოთ, დაუკრეტ. ას იყო „ცაკ“-ების და „სოვნარკომ“-ების უერთმეტი თავმჯდომარე, ანუ რესპუბლიკათა პრეზიდენტი და მთავრობათა მეთაური.

მეტი თუ ნაკლები სისხლიანი „წმენდა“ მოხდა აზერბეიჯანში, სომხეთში, აჭარაში, საქართველოში, დალესტანში, ჩაჩან - ინგუშეთში, ოსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ტაჯიკისტანში, უზბეკისტანში, თურქმენისტანში, ყაზახისტანში, კარელიაში, ბურათ - მონღოლთა და ბაშკირთა რესპუბლიკებში, ე. ი. განურჩევლად ყველა საკავშირო და მრავალ ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ბრალდებანი, რომელიც მოსკოვის ტერორის კერძებს ყველა რესპუბლიკაში წარედგინათ ერთი და იგივენი არიან.

არა გვგონია, რომ ს. ს. რ. კ.-ის უბოროტეს მტერსაც კი შესძლებოდა უფრო უკეთესი საბუთი წარმოედგინა იმის დასამტკიცებლად, რომ მოსკოვის ხელისუფლებასა და 80 მილიონიან არა - რუს სიმრავლის შორის სა-

მუდამო თხრილია გავლილი და როგორ გაურბიან ეს ერები ტალღის სისწრაფით მას, ვიდრე ის, რაც მოქცეულია ამ სტერეოტიპულად განმეორებულ დაშტამპულ ბრალდებებში.

მაგალითისთვის მოვიყვანოთ ეს არის ეხლა დასრულებული „პროცესი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მესვეურთა, რომელთაც ბრალდებოდათ „კონტრ - რევოლუციონური, ჯაშუშურ - ამჯანყებლური, ტერორისტული და დივერსიულ - მავნებლური“ ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც აზრადა ჰქონდა „საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, ს. ს. რ. კ.-საგან განდგომა შეიარაღებულ აჯანყების გზით და კაპიტალისტურ წესწყობილების აღდგენა ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს პროტექციით“...

ამ საქმის გამო, რომელიც, უაშეორებთ, მხოლოდ ერთი მრავალთაგანი იყო, რვა კაცი დახვრიტეს.

X

მრავალ წელთა განმავლობაში და ყველა საერთაშორისო ჯვარედინზედ, მოსკოვი გა-ჰკივიროდა, რომ ს. ს. რ. კ.-ში ეროვნული საკითხი აღარ არსებობს, რომ ამ საკითხის გადაჭრა, ასე გადაუჭრელი კაპიტალისტურ ქვეყნებში, საბჭოთა წესწყობილების უზრდეს მიღწევას შეადგენსო.

კარგი მიღწევაა, თუ თავისი ოცი წლის არსებობის საიუბილეოთ, საბჭოთა ხელისუფლება იძულებულია განაცხადოს, რომ კავშირის თვალუწვდენელ ტერიტორიაზედ არ გადარჩა არც ერთი ერის მხარე, სადაც ხელისუფელის უმაღლეს თაროებზედ „ბურუჟიუზიულ ნაციონალისტებს“ არ მოეკალათთ, რომლებიც მიზნად ისახავენ, რომ ს. ს. რ. კ.-ის საგარეო მტრის დახმარებით საბჭოთა კავშირისაგან განდგნენ.

X

უნდა მივიჩნიოთ, რომ სტალინის დიქტა-

ტურის შეტრიალება რუსული კვასის პატრიოტიზმის პრიმიტიულ ფორმებისაფენ რუსული რევოლუციის საზოგადო გადაგვარების ლოლიკური დასკვნაა.

პოლიტიკური პინის გადახრა დოქტრინული ინტერნაციონალიზმის საბოლოო მიჯნებისაგან თავის რუსულ ანტიპოდისაკენ, რევოლუციის ლიკვიდაციის ხანაში, ნორმალური მოვლენაა. ასეთ განმარტებაში ჭეშმარიტების ნაწილი სდევს. მაგრამ არა სრული ჭეშმარიტების. საქმე მარტო გამოუმდგარ რევოლუციების რეუიმის ბუნებრივ გადაგვარებაში და ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ შოვინიზმის წამოჭრაში არ არის, მით უმეტეს ველურისა, რაც უფრო ქვეყანა პირველყოფილი და უკულტუროა.

„ნორმალურ“ პირობებში ასეთი ევოლუცია მაინც ასეთი უნივერსალური ხასიათისა არ იქნებოდა და ვერ შესძლებდა ისეთი მახინჯი და ჭეშმარიტად ისეთი პატოლოგიური ფორმები მიეღო, რაიცა ახასიათებს დღეს საბჭოთა რეპრესიებს ნაციონალურ რესპუბლიკებში.

რათა მოსკოვის ეს სულ მსოფლი მავალი გააფთრება გავიგოთ, უნდა წარმოვიდგინოთ ის საერთაშორისო ვითარება, რომელიც საბჭოების გარშემო ეწყობა.

ყოველ დღე და ყოველ დიპლომატიურ მარცხთან ერთად — საბჭოთა დიპლომატია კი უკანასკნელ თვეებში, ერთი მარცხიდან მეორეზედ გადადის — სტალინის დიქტატურას საბედისწერო რკალი ერტყმება და სიკვდილის ხიფათი, რომელიც რეუიმს ემუქრება, ნათელი ხდება...

მოსკოვმა იცის სამაგიეროს გადახდის მრისხანე წუთში, 80 მილიონი რუსეთის მიერ დამონებულ ერებისა, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლებას თავის მტრებზედ გამარჯვება მიანიჭეს, იარაღით ხელში გამოისყიდიან თავის შეცდომებს.

მოსკოვმა იცის, რომ ამ გამოსყიდვის ალ-

თქმის დღეს თავ - განწირვით და ლოცვათა ლალადით ელოდებიან უკრაინაში და კავკა-სიაში, ბელორუსიაში და თურქეთში და ყველგან, სადაც დღეს საბჭოთა „ოპრიჩინა“ დათარებობს და ერებში ჯანყს ეძებს...

მოსკოვის ერთად ერთი იმედი, მისი უკანასკნელი ნაძლევი, ეს ყბად - ალებული რუსული ურა - პატრიოტიზმია, გამზე გამზე-იჩების და „რუსი ხალხის კავშირის“ საჩაი-ეთა ცხოველური პატრიოტიზმი.

ძველი ცნობილი ნაძლევია! ასე იყო და არის — როსტოპჩინიდგან კატკოვამდის და მეშჩერსკიდგან სტალინამდის!

რუსი ხალხის საუბედუროდ, კავშირის მიერ დამონებულ არა - რუს ეროვნებათა დიდ საუბედუროდაც, რომლებსაც მეტი არაფერი არა სურთ, რომ თანასწორობის ნიადაგზედ რუსის ხალხთან კეთილი მეზობლობა ჰქონდეთ, საშიში ხდება, რომ რამდენადაც უფრო უახლოვდება გარეშე საფრთხე მოსკოვს, მით უფრო ზოოლოგიური ხდება კრემლის მპყრობელთა სპეციფიური სამხედრო პატრიოტიზმი, მით უფრო ხმა მალლა და უფრო მეტის ბეჯითობით მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება რუსი ხალხის პირველყოფილ ინსტიქტებს და მით უფრო ცინიკურად და უკმეხად მოუწოდებს ის პირველქმნილ ქამს რუსი კაცის ბუნებაში.

ვინაიდგან, მხოლოდ ამ ქამის ურა - პატრიოტიზმის გამოლვიძებით თუ შესძლებს მოსკოვი, რომ მოტყუილებულმა რუსის ხალხმა საკუთარი ჯალათები და მოძალადენი კვლავ დაიცვას.

ეროვნულ რესპუბლიკებში „სამართალით“ თუ უსამართლოდ დაწყებული ხვრეტის ვაკხანალია მოსკოვის ამ ბოროტ განზრახვებს ემსახურება.

მოსკოვი შეგნებულადა სჭრის თხრილს ველიკოროსებსა და კავშირის სხვა ერების შორის. კრემლის მპყრობელის ამ ბოროტ პოლიტიკას, საკუთარი თავდაცვის პირუტყვუ-

ლი ინსტიქტით ნაკარნახევს, სულ ადვილად შეუძლია საგრძნობლად გაართულოს პალმუ-სავლეთ ევროპის პრობლემის ნორმალიზა-ცია საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემ-დეგაც...

მაგრამ ისტორიულ ნემეზიდის ფატალურ სვლას ეს მაინც ვერ შეაჩერებს.

თხრილი, რომელიც დღეს რუსის ხალხის და წითელი იმპერიის არა - რუს ერების შორის გაჰყავთ, უპირველესად თვით საბჭოთა ხელისუფლებისათვის იქნება საბედისწერო.

იგი უფრო გააღრმავებს მოსკოვისადმი მოუნელებელ მძულვარებას და უფრო გამოჭედს მათ ნებას დამოუკიდებლობისადმი.

ეხლა უკვე შეუძლებელია კაცი პატიოსნად ეჭვიანობდეს იმაში, რომ თუ ომი მოხდა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფონი ვერა პპოებენ სრულ აკტიურ დახმსრებას მოსკოვის მიერ დაპყრობილ ერებში.

ჩვენ არა გვსურს გადავაჯეროთ საბჭოთა ხელისუფლების ის გაუსწორებელი მეგობრები, ვისაც თვალები იმიტომ აბიათ, რომ არაფერი დაინახონ. მათ საკუთარი საბუთი აქვთ, რომ მოსკოვს ემსახურონ.

მაგრამ იქნება საბჭოთა კავშირის ეროვნულ რესპუბლიკებში დაყენებულმა სისხლის წვიმებმა თვალი აუხილონ იმ პატიოსან ფრანგ პატრიოტებს, რომლებსაც რუსეთის მოსახლეობის ასტრონომიულმა რიცხვმა — 165 მილიონმა! — პიპნოზი უყო. ეს იყო რიცხვი, რომელიც ფრანგულ - საბჭოთა პაკტის აპოლოგეტებმა წარუდგინეს მათ, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების კრიტერიუმი.

იქნება ისინი ეხლა უფრო ადვილად მიხვდნენ ოფიციალურ სტატისტიკის ამ პირობით სიცრუეს და ვიდრე გვიან არ არის, პოლიტიკური დასკვნანი გააკეთონ ამ მშვენიერი ქვეყნის უშიშროებისა და კეთილდღეობისათვის.

ჰაიდარ ბაშარ.

კვლავ გარეშე გეზის შესახებ

‘ გერმანიის უდიდესი ფილოსოფოსი ჰეგელი ამბობდა: „მთები, მთა - გორიანი აღგიღები ხალხებს ერთმანეთს აშორებენ, ხოლო წყლები კი აახლოვებენ“. შემდეგში — ეს ზოგადათ გამოთქმული აზრი სხვა და სხვა დარგის მეცნიერებმა უფრო კონკრეტიულად განმარტეს - გააფართოვეს, უფრო რეალური მნიშვნელობა მისცეს.

ხალხთა ისტორიის უხსოვარ დროიდანვე მდინარეებსა და ზღვებს შინაური და საგარეო მიმოსვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ. ვიდრე ორთქლით მავალ გემებს მოიგონებდნენ დიდ ზღვებსა და ოკეანეებს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ. ძველი ხალხები უმთავრესად მდინარეებით და ჩაკეტილი, ხმელეთით შემოფარგლულ ზღვებით კმაყოფილდებოდნენ; იმ დროს ასეთ მდინარე - ზღვებს ხალხთა ცხოვრებაში უდიდესი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა ეძლეოდათ. ასეთ მდინარეთა და ზღვათა გარშემო სახლდებოდნენ და მოსახლეობდნენ ძველი ხალხები, უძველესი ერები; მდინარეთა და წყალთა ბუნებრივი აღგილები სახელმწიფოთა მთავარ სამფლობელოდ გადაიქცნენ. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ამა თუ იმ ხალხის სახელმწიფოს პოლიტიკური ძალის უპირატესობა; ძველიდანვე, ამავე ნიადაგზე წარმოიშვა მრავალი ახალშენების შეძენა, ახალშენების გაფართოება. ამავე ნიადაგზე წარმოიშვა ფინიკიელთა, ძველ ბერძენთა, შემდეგში ჩრდილო აფრიკის, იტალიის მსოფლიო ბატონობა. სულ ახლო წარსულში ხომ ალბიონი დიდი ბრიტანეთი ზღვათა ბატონობის ნიადაგზე თითქმის მსოფლიოს უდიდესი ნაწილის ბატონ - პატრონი გახდა.

მდინარეები — მდინარეებთან, ზღვები — ზღვებთან, ნავთსადგურები — ნავთსადგურებთან მხარი - მხარს აბამენ, ერთმანეთს ხელს

უწვდიან, მჭიდროთ ებმებიან ხალხებისა და ქვეყნების ერთმანეთთან დასაახლოვებლად. შორი და სრულიად შორეული ქვეყნები მდინარეებისა და ზღვების საშუალებით ერთმანეთს მჭიდროთ ებმებიან; ვაჭრობა - აღებ - მიცემობის ურთიერთობაში შედიან.

უკანასკნელმა დიდმა ომმა ბევრი აამშესცვალა ქვეყანაზე, მრავალი ახალი ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის წარმოშობა, რომლის მიხედვით მთელი რიგი სახელმწიფოების ახალ გზებს ეძებეს თავიანთ მომავალი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მოსაწყობად. სწორედ დასახელებული ურთიერთობის მეობებით გერმანიის მომავალი მიმოსვლის გეოგრაფია, მისი საგარეო გეზი იცვლება, ეკონომიკასა და საგარეო პოლიტიკას ახალი სახე და მიმართულება ეძლევა. ახლა — ომის შემდეგ — ეკონომიური და გეოგრაფიული მდგომარეობის ფუძე სულ სხვა გვარია, არსებითად შეიცვალა.

თვით დიდი ომის დაწყებამდისაც დიდ ინდუსტრიულ ქვეყნებს ერთგვარი ტენდენცია ჰქონდათ, ერთგვარ მისწრაფებას იჩენდნენ ეგრედ წოდებული „ავტარკიის“ ნიადაგზე გაჩერებულიყვნენ, თავიანთ მცხოვრებელთა მთელი მოთხოვნილება საკუთარი წარმოებით, საკუთარი ნაწარმოებით დაეკმაყოფილებინათ. ცდილობდნენ თავიანთი ბუნებრივი სიმღიდრე, თავიანთი საკუთარი ეროვნული შრომის მეობებით დაემუშავებინათ და გარეშე ქვეყნებიდან თუ სახელმწიფოებიდან თითქმის სრულიად დამოუკიდებლად ეარსებნათ. ოდესლაც თავისუფალი ვაჭრობის, თავისუფალი გაცვლა - გამოცვლის მებაირახტრე სახელმწიფოები უკან იხევდნენ, ძველს უბრუნდებოდნენ და თავისუფალი აღებ - მიცემობის დროშა მფარველობითი და დამცველი ბაჟების დროშად შესცვალეს.

ახლა ეს სახელმწიფოები კარებს იხშობენ, თავიანთ თვალ - უწვდენელ სამფლობელოებს ჩინურ გალავანს ავლებენ, რათა უცხო სახელმწიფოების ნაწარმოები თავიანთ ქვეყანაში აღარ გააჭაჭანონ. ამის უტყუარ მაგალითს დღეს ინგლისი წარმოადგენს, რომელმაც კარგა ხანია თავისუფალი ვაჭრობის დროშა უკუაგდო და გამიჯვნის პოლიტიკას დაადგა.

სამაგიეროდ — გერმანია — ოდესლაც ეს პირწავარდნილი დამცველობითა და მფარველობითი ბაჟების მოტრფიალე, თავისუფალ ვაჭრობა - აღებ - მიცემობის მოციქულად გამოდის, ყველგან ღია კარებს მოითხოვს. განსაკუთრებით ახლა, როცა ომში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ხელოვნურად შეუკრეს გზები გერმანიას და მის ნაწარმოებს გასაქანს არ აძლევენ. დიდი ომის დროს მოკავშირეთა სახელმწიფოებმა კარ - ჩაკეტილობის მისწრაფება, ანუ სწორედ რომ ვსთქვათ, კარჩაკეტილობის ტენდენციას სახელმწიფოს ზედ გავლენით, ძალის დატანებით უფრო გააძლიერეს, უფრო მეტად გააცხველეს. გერმანიის ბლოკადის დროს მთელი მოკავშირეთა სახელმწიფოები საკუთარ ნიადაგზე გაჩერდნენ, ახალი ინდუსტრიული დარგები შეკვენეს, ჰქონიდნენ და ამუშავებდნენ იმას, რაც ომის წინად გერმანიიდან შემოჰკონდათ.

მაგრამ დრო და გარემოებათა მსვლელობა სახელმწიფოთა ასეთ მიღრეკილებას ეწინაღმდეგება. ზოგიერთა სახელმწიფოთა ასეთ ეკონომიურ კარჩაკეტილობის პოლიტიკას ეწინააღმდეგება სხვა უფრო ძლიერი ფაქტორები, როგორც არიან მიმოსვლის გეოგრაფია, დედამიწის გულში ჩამარხული უშრეტი სიმდიდრენი, ჰავის და ჰაერის შემადგენლობა და სხვა., რომლებიც გახსნილ კარებს მოითხოვენ, ხალხთა შორის თავისუფალი შრომის განაწილებას და ნაშრომის თავისუფალ აღებ - მიცემობას, ხალხთა სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ.

გერმანიას დიდ ომამდის მსოფლიო ბაზარზე, როგორც ექსპორტის ქვეყანას უმარტივესი მდგომარეობა ეკავა. თავისი ტეხნიკური, ქიმიური, საფარმაცევტო, სალებავებით, ელექტრო - ტეხნიკური და სხვა მრავალი ნამოქმედარით მსოფლიო ბაზარზე თითქმის ბატონობდა და სხვა დიდ სახელმწიფოების ინდუსტრიულ ნაწარმოებებს დიდ მეტოქეობას უწევდა. ომის დროს კი მოკავშირეთა სახელმწიფოებმა — ინგლისის მეთაურობით — რკალი შემოავლეს გერმანიას და მისი ნაწარმოები არსაით გააქანეს. სწორედ ისე, როგორც ერთ დროს ნაპოლეონ პირველმა, თავის ძლევა - მოსილების უმაღლეს წერტილზე დგომის დროს, განიზრახა ინგლისის ნაწარმოებისათვის სრული ბოიკოტი გამოეცხადებინა და მათი საქონელი კონტინენტზე არ გამოეშვა.

როგორც ზევით გაკვრით ალვნიშნეთ, — გერმანიის ნაწარმოებისადმი გაფიცვას ინგლისი ომამდივე ეწეოდა, მხოლოდ ომის დროს. — გარემოებამ ხელი შეუწყო, რომ ბოიკოტის პოლიტიკა ერთი ათად უფრო გაეძლიერებინა. ვერსალის ზავმა ხსნ დასახელებულ პოლიტიკას გამარჯვების გვირგვინი დაადგა.

გერმანიაში დიდი ომის წინათვე გაისმოდა ერთგვარი ძახილი: ლონდონიდან უნდა გვინთავისუფლოთ თავიო! ომის წინათვე მიაპყრეს თავისი თვალი აღმოსავლეთს, აღმოსავლეთ ევროპისაკენ დაიწყეს ცქერა მასალების მოსაპოებლად. მეცნიერები და დიდი ინდუსტრიის მესვეურები ხშირად ლაპარაკობდნენ უკრაინაზე, სადაც გულუხვად მოიპოვება ხორბლეულობა, რუმინიაზე, კავკასიაზე, რომელიც უშრეტია ნავთი და ლითონით, სპარსეთზე, თურქესტანზე და საერთოდ ახლო და შორეულ აზიაზე. ამ ახალი ეკონომიური და პოლიტიკური ირიენტაციის გამოძებნით გერმანია ცდილობდა და ცდილობს შეკვენას ისეთი მტკიცე მდგომარეობა

შუაგულ ევროპის სახელმწიფოებისათვის, შუა - გულ ევროპის მრეწველობა - ვაჭრობისათვის, რომლის მეოხებითაც ერთხელ და სამუდამოდ თავს გაინთავისუფლებდნენ ინგლისისა და საერთოდ დასავლეთ სახელმწიფოს ნედლ მასალათა საჭიროებიდან. თავის თავად საგულისხმოა, აქ წინ უნდა წამოჭრილიყო ბუნებრივი მიმოსვლის მთლიანობა, ბუნებრივი მიმოსვლის ერთიანობა ჩრდილოეთსა და შავი ზღვის შორის. ამ მიმოსვლის ერთიანობას ანუ გაერთიანებას ხელს უწყობს ბუნებრივი გეოპოლიტიკური მდინარეთა დენა: რაინი, ელბა, დონაუ ანუ დუნაი. (წინა წერილში შეცდომით დუნაის მაგიერდონი არის ნახმარი).

ჯერ ისევ დიდ ომამდის დასახელებულ გზას გერმანიის მრეწველობა - ვაჭრობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეცნიერი არტურ დიქსი ერთ თავის შრომაში სწერს: ომამდის შავი ზღვით ყატანილი საქონლის ლირებულება 2,7 მილიარდ მარკას უდრიდაო. შავი ზღვის გარშემო მდებარე ქვეყნებში მეტ საქონელს ვასალებდით, ვიდრე მთელ სამხრეთ ამერიკაშიო.

იგივე მეცნიერი დიქსი ამბობს: გერმანია სულ ახლო მომავალში რაინ - დუნაის და შავი ზღვის გეზით გადაებმება უკრაინას, კავკასიას, შავი ზღვისა და კასპის ზღვის საშუალებით თურქესტან, მცირე აზიას და მთელ რიგ ახალ ქვეყნებს, რომლებიც ბაზრად გადიქცევიან გერმანიის ნაწარმოებისათვის და უშრეტი ნედლი მასალით გამოკვებენ ჩვენს ინდუსტრიასო. მაშინ ესენი გასწევენ ატლანტიისა და დიდი ოკეანეს იქითა მდებარე ქვეყნების მაგიერობას და ჩვენი გზაც სწორედ აქეთ — რაინ - დონაუ - შავი - ზღვისაკენ იქნებაო.

მართალია, ამ ბუნებრივ გეოპოლიტიკურ მიმოსვლის გადაბმას წინ გადაელობა რინგის - საფრანგეთის ეგრედ წოდებული შცირე ანტანტის პოლიტიკა, მაგრამ ის, რაც ბუნებრივად აუცილებელია, მისი შებორკვა არავის შეუძლია. გერმანიამ რაინი - დუნაის - შავი - ზღვის საშუალებით პირი აღმოსავლეთისაკენ იქცია და მისი მომავალიც აქეთ არის, წინ ველარავინ გადაელობება, ამ შემაერთებელი ძარღვის გაწყვეტას ვერავინ მოახერხებს, ვინაიდან ეს კავშირი გაუწყვეტელი რგოლებით არის გადაჯაჭული.

არტურ დიქსივე სწერს: რაინ - დუნაისა და შავი - ზღვის ბუნებრივ მიმოსვლის განვითარების აუცილებლობას წარმატებით ხელს უწყობს შავი ზღვის გარშემო მდებარე მოსახლე ერების მიერ მეღგრად წამოყენებული ნაციონალური პრინციპი, ეროვნული თვითგამორკვევის მტკიცე მიღრეკილება, საკუთარ სახელმწიფოების დაარსებაო. ჩვენი მომავალი პოლიტიკაც ამას უნდა უწევდეს ანგარიშს, ასეთი ურთიერთობის განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს. ძალმომრეობა, შურისძიება, დაპყრობითი პოლიტიკა ერთხელ და სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იქნეს და გერმანიის საგარეო საქმიანობა, ხალხთა და ერებთან დამოკიდებულება ხალხთა თანასწორობის და თავისუფლების პრინციპზე უნდა იყოს აგებულ - აშენებული. მაშინ შეიძლება ჩვენი მომავალი მტკიცე საძირკველზე აშენდეს ჩვენი ხალხის საბედნიეროდ.

ვინც ასეთი გეზით მოილტვის ჩვენი კუთხისაკენ, ვინც ასეთ პრინციპს წინ წაუმძღვარებს თავის საგარეო პოლიტიკას, ჩვენ კავკასიელებს მეტი რა გვეთქმის: ია და ვარდი თქვენს გზას! წარმატება და გამარჯვება თქვენს ნიზანს!

ვლ. ახმეტელი

ი ლ ი ა - ბ რ ძ ე ნ ი ს ს ა დ ი დ ე ბ ლ ა დ

(საზეიმო სიტყვა)

- კაცური კაცი, შემთხვევით ილია ჭავჭავაძეთ სახელდებული, არის ადამიანური გამოსახვა ქართველი ერის გენიოსობისა.

ვცადოთ წავშალოთ გონებაში მისი ნამუშევარი, თავის ხალხისათვის მის მიერ დატოვებული სამკვიდრებელი და უცებ წარმოგვიდგება თვალწინ ვებერთელა ცარიელი ადგილი ქართველი ერის მეცხრამეტე საუკუნის და თუნდ მერმნდელ დროის ცხოვრებაში. . .

თუ მეთვრამეტე საუკუნეში უნდა გაჩენილიყო საჩვენოში ქვეყნიერობის გამკვირვებელი გვირვევინოსანი, წინამძლოლი - გმირი პატარა - კახი, ასეთი ტიტანური ძალოვანებით საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცებისა და მისთვის უკვდავების მინიჭების მოსურნე და მცდელი, მეცხრამეტე საუკუნეშიაც მოულოდნელ დიდი გარდატეხის შემდეგ ჩვენს ხალხს უეჭველად უნდა მოვლენოდა მაგიერი ძლიერება უკვდავ აღამიანის სახით . . .

თუ ქართველმა ერმა უამსა თავის ერთიანობისა, სალიანობისა და ძლიერებისა შეუქმნა თავის თავს ოქროს ხანა დავით აღმაშენებელის და თამარ მეფის ნათელი მეშვეობით, ჩვენს ხალხს ოდნავ მშვიდობიანობის და ხელახალ გაერთიანების დამყარების დროს უეჭველად გენიოსი მეთაურით უნდა ეპასუხნა. . .

და აი გვიჩნდება კიდეც იმავე კახეთში მეორე პატარა კახი, პირველისავით ტანად მორჩილი, მისავით ძალოვანი და ბრძენი, თავის ქვეყნის ჭეშმარიტად გვირგვინდაუდგმელი მეფე.

ის ცამ დანიშნა! ეგებ მართლაც მთლად არ უნდოდა გაეწირა ღვთისმშობლის ხვედრი ტანჯული ქვეყანა! და აი ამ ახალმა ქართველმა ბუმბერაზმა ჰშვა თავს და ერის მყობადი და მისცა მომავალი მშობელ ხალხს. ჭეშმარი-

ტად ბედნიერია კერძო კაცი, როცა თავის პიროვნული დიადი ცხოვრებით განუყრელად ერთვის - ეთვისება თავისსავე ხალხის, ერის ცხოვრებას!

ასეთი პიროვნება მარადიულობის საბურველით იმოსება!

უკვდავია დავით აღმაშენებელი! უკვდავია თამარი! უკვდავია რუსთველი!

უკვდავია:

ილია ამალორძინებელი,

ილია შემქნელი ახალ სამწერლობო ენისა,

ილია მგოსანი

ილია თანადროულ კაზმულ ლიტერატურის მომცემი,

ილია ნამდვილ ქართულ პრესის დამარსებელი,

ილია ეროვნულ ხაზინის აღმომჩენი,

ილია თაობათა აღმზდელ - გამწვრთნელი;

ილია გამოჩენილი რიტორი, უებარი მოსაუბრე, მესაიდუმლე თავის ხალხისა!

სასწაულივით საოცარია, რომ პატარა ქვეყნის უდიდეს შვილს მისი ულვთო სიკვდილის მეოთხედ საუკუნოვანი წლის თავი შეუსრულდა სწორედ მაშინ, როცა მთელი კაცობრიობა ერთად იხსენიებდა:

უკვდავ გეორგ ვაშინგტონს ატლანტის ოკეანეს იქით მდებარე დიად რესპუბლიკის შემქმნელს;

დიდებულ მგოსანთა თავადს, გერმანელ ერის დამაშვენებელს იოჰან ფონ ფონტვან გოეთეს და ჩვენი მხარისავით სიტურთით განთქმულ იტალიის გამანთავისუფლებელს, სიღიადით სავსე მამულიშვილს, თანაც მოკრძალე ხასიათის მქონეს ჯუზეპე გარიბალდის!

რა უყოთ რომ ჩვენი ქვეყანა პატარაა?!

განა წყალის პატარა წვეთში არ გამოსჭვივის
მთელი სამყარო?!

ჩვენი მგოსანი გოეთესავით არა ჰქმარობს
ოლიმპიულობას, თუმც გერმანელ ბუმბერაზს
თაყვანსა სცემს და ქართულადაც გადმოაქვს.

ქართველ გენიოსს განცხრომისათვის არა
სცალია!


ილიამ უწყის და გრძნობს მამულის მდგო-
მარეობის სივალალეს, იჭურვება ვაშინგტო-
ნსა და გარიბალდისავით სამშობლოსადმი უსა-
ზლვრო სიყვარულით და თავდადებით - დიალ
თავდადებით! - ემსახურება დამონებულ ერს.
მხოლოდ საქართველოს მდებარეობის და აღა-
მიანზე დამოუკიდებელ პირობების ბრალია,
რომ ჩვენ და ჩვენთან ერთად კაცობრიობაშ
ვერ ვიხილეთ ილიას ვაშინგტონობა და გარი-
ბალდობა..

სამაგიეროდ, რა აღტაცებით დაუხვდა იტა-
ლიის მიერ თავისუფლების მოპოებას ჩვენი
მგოსანი — მამულიშვილი!

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუებს
დასათრგუნვად მონობისა..
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში. . .
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

ეს ძვირფასი, ეს განსაცვიფრებელი ამოძა-
ხილი გულში უნდა ჩაეკლა მის წარმომთქმელს
რაღან გაშინ გონებრივ შემოქმედებას თავს
ადგა უცხო მუხრუჭი. . . თანაც იქნება აწუ-
ხებდა მარტოობა . . . ხომ დაგვიტოვა მწარე
გულსაკლავი სტრიქონები:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე
სიყვარული,
ჰოი, მამულო გამიკრთა მე ძილი და
შვება!



შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ
სულგანაბული, გადასამართება
ლამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე
ლამდება.
დაუინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის,
გროვდება, გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად
იძვრის ჩემს გულში
და არა ვჩივი, - მიხარიან, რომ ეგრედ
ჰშრვება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს
სიყვარულში.
გაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ
ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და
სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ ამდენს ხალხში კაცი
არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი
გავუზიარო.

მაგრამ მაინც ასეთ ვალალობას არ შეუში-
ნებია მოღვაწე - მგოსანი. არ დაუგდია იარალი
კალამი, განუგრძვია მუშაობა, ულვიძებია ხა-
ლხი. . . და აი მისმა ნაღვაწმაც გამოძახილი
ჰპოვა. . . ეს გამოჩნდა ყველასათვის ცხადლივ,
როცა შეეწირა ხალხს საგონებელში ჩასაგდე-
ბად. სიბერია გამო, ჩვენდა სამარცვინოთ
ვერავინ დავითარეთ ღვთაებრივი ნიჭის მად-
ლით ცხებული კეთილი ლალა, აღმზდელი და
უგუნურმა ბოროტებამ მას ხელი შეახო.

ელვის სისწრაფით მოედო საზარელი ხმა
მთელ საქართველოს. შინაურმა და გარეშემ
ყველამ თავი მოიხარა დიდებული ცხედრის
წინაშე. ყველა მიხვდა, თუ ვინ აღესრულა. ამ
წუთში ილია თავდადებულს მტერი არ ჰყავდა!

თაყვანისცემაში ყველა გაერთიანდა!
ერთმა ბრძენმა ბერძენმა წარმოსთქვა:
„იქ, სადაც მე ვარსებობ, სიკვდილი არ არის;
სადაც სიკვდილია, იქ მე არა ვარ . . .“

ნუთუ ქართველ ერსაც არ შეუძლია განი-
მეოროს: „იქ, სადაც მე ვარსებობ, სიკვდილია
არ არის; სადაც სიკვდილია, იქ მე არა ვარო?!

ჩვენი საკუთარი ბრძენიც, თუ მკვდარია,
ისეთი თვისებისაა, რომ არა გვტოვებს. ტყუ-
ილად არ უთქვამს თვითონ დიდბუნებოვან
გვამზე:

მოკვდა და თვისის ანდერძით
აწ ისევ საქმობს მკვდარიო.

თავის „აჩრდილივით“ გადმომდგარა და გვე-
უბნება:

„მარად და ყველგან, საქართველოვ მე
ვარ შენთანა!
მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი
სული,
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად
გარდამებანა,
ამ გულში მე მაჭვს შენი აწმყო, შენი
წარსული . . .
მეცა ვტანჯულვარ, ჰე, ბედკრულო
შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემი
მიტირებია,
მეც წარტყვევნილვარ წარსულ დღეთა
შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული - გული
დამწყლულებია

ახლა რასა ვგრძნობთ ამ კაცის მიმართ, რო-
მელიც წარმოგვიდგა როგორც ქართული ერო
ვნული სულის ელვარება?

ჩვენ ვლაპარაკობთ მისი ენით, როცა ვაქებთ

ან ვიწუნებთ ვისმე ან რასმე, ჩვენ ვმსჯე-
ლობთ და ვღელავთ იმავე საგნების გამოსართ-
მელნიც მის ყურადღებას იქცევდნენ და მისგან
ივნენ გარკვეულნი. ჩვენი მისწრაფება იგივეა,
რაც მისი. მასავით ჩვენც გვსურს დაიმსხვრას
„ბორკილი, შემფერხებელი კაცთა ცხოვრების“
მოგვიახლოვდეს შრომის სუფევა, თანასწო-
რად ყველასათვის ნიჭთა მფენელი“;

„უქმ სიტყვად ალარ იყვნენ ძმობა,
ერთობა, თავისუფლება
„ეკლის გვარგვინით ალარ დადიოდნენ
კაცთმოყვარება და სათნოება;“

„განკაცდეს და ამაღლდეს მაშვრალი, რომე-
ლიც არავის ემონვის და არც არავის იმონებს“
„ერთ ცხოვრების, ერთის საგნის ტოტები,
ახლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთებუ-
ლიყვნენ;“ „ცად მიღწეულ მძლავრ კავკასის
ტომნი ერთის აზრით, ერთის ფიქრით აღელ-
ვებულ - ამოძრავებულნი შეერთებულიყვნენ
და მშვენიერი ეს ქვეყანა თვის დიდების ნაშ-
თთა ზედა კვლავ აღედგინოსთ.“

ცხოველმყოფელ აზრების მთესველის მარა-
დიულ არსებობას ცოცხლად ჰერძნობს ყოვე-
ლი ქართველთაგანი. ხოლო მარტვილობა
მისი მსგავსად ტანჯულ წმიდანებისა გარდა-
ცემულია საშვილისშვლოდ ასამაღლებლად
პიროვნებისა და გასაცისკროვნებლად მშობე-
ლი ქვეყნის მომავალისა!“

დიდება მას და საქართველოს !

გრიგოლ დიასამიძე

დროა ეს შევიზნოთ!

ყველას მოეხსენება — ქართული ემიგრაცია დაყოფილია მრავალ ჯგუფად. ეს ჯგუფები გამწარებული ებრძვიან ერთმანეთს. ყოველ ჯგუფს პრეტენზია აქვს მხოლოდ თავისი თავი გამოაცხადოს მარილად ამა ქვეყნისა და სხვა ჯგუფის მორალში და პატიოსნებაში ეჭვი შეიტანოს. ამ სავალალო მდგომარეობის საუკეთესო, კლასიკურ მაგალითს უურნალი „ქართლოსი“-ს აგვისტოს ნომერი იძლევა. ვიღაც ბ. ბებურიშვილი, ვიღაც, ვინაიდან ასეთი ქართველი ემიგრანტი მე არ მეგულება და, მაშასადამე, ეს გვარი ფსევდონიმია — საკუთარი გვარის გამოუცხადებლად კი ისეთ საკითხებზე წერა და, მით უმეტეს, ასეთ საშინელ ბრალდებების წამოყენება, ბევრი რომ არ ვსთქვათ, უხერხულია, უყოფანოდ აცხადებს, რომ არც ერთ და ჯგუფებას, რასაკვირველია, გარდა იმ ჯგუფისა, რომელსაც ის ეკუთვნის, „არსებითად არა სწამს არც ეს ეროვნული ფრონტი და არც ის კონფედერატიული კავკასია და რომ ყველა ერთი ერთმანეთს ატყუებს, მლიქვნელობენ, პირმოთნეობენ და ერთად ყოფნის მიზეზი ერთად ერთია: ეს ნივთიერი სახსარი, რომელზედაც ყველა ერთად არის ჩამოკიდებული“ (თუ დამოკიდებული?). საბუთი? საბუთი რად გინდათ! საბუთად ისიც საკმარისია, რომ თვით ეს ჩვენი უცნობი — ბ. ბებურიშვილი ბრძანდება და აბა მასში ვინ შეიტანს ეჭვს. მას ხომ თურთ უზენაესისაგან აქვს მინიჭებული ეს უფლება! აი თვით მკითხველი დასტკბეს იმ პარვალებით, რომელსაც ბ. ბებურიშვილი სმარტი მოწინააღმდეგის დასახასიათებლად გავას წერილში: „პოლიტიკური მორალი და პოლიტიკური მუშაობა“.

პირველი: „ეტყობა ბ. ჰაიდარ ბამატი არ დაკმაყოფილდა ბ. შ. ამირეჯიბის მართლა არა დამაკმაყოფილებელი წერილით და ას-

პარეზზე მთავარი პირი, ლრმად პატივცემული ბ. ზურაბ ავალიშვილი გამოუშვა“.

როგორ მოგწონთ — ეს ლრმად პატივცემული და ბამატმა გამოუშვა? გამოდის, რომ „ლრმად პატივცემულს“ თავსი საკუთარი აზრები კი არ დაუწერია, არამედ ბ. ბამატის „სამსახურში“ სამსახურის მოვალეობა შეუსრულებია.

მეორე: „ბატონ ზურაბ ავალიშვილის ასეთ თქმას, ამ პირობებში, მეტად ცუდი სუნი, რუსულ - ჩინოვნიკური სუნი უდის“!.

ბ. ზურაბ ავალიშვილს, თურმე თავისი აზრები კი არ დაუსაბუთებია, არამედ რუსულ-ჩინოვნიკური. დარწმუნებული ვარ, ბ. ბებურიშვილს თითონაც არ ესმის, რომ „ასეთ თქმაში“ მართლა ქართველ კაცის უდიდესი შეურაცყოფაა. ტყუილად კი არ არის ქართველი კაცი დარღიმანდი! მაგრამ გავყვეთ ქვემოდ ჩვენს ავტორს.

მესამე: „ბატონმა ზ. ავალიშვილმა აქ ისეთი სიტყვა ბრძანა (ბრძანა — ალბად ნიშნად პატივისცემისა მისდამი), რომელსაც არ დაუვიწყებს მას არც ერთი ქართველი“.

ხომ ხედავთ, ბ. ბებურიშვილი აწყმოთი და მომავალითაც ემუქრება ბატონ ლრმად პატივცემულს. ის ლრმად დარწმუნებულია, რომ მისი პირით მთელი ქართველი ერი ლაპარაკობს და ამიტომ მას ერთი წუთითაც ეჭვი არ შესძის, რომ როგორც ის, ისე ყველა ქართველი ასეთ სიტყვის ბრძანებას ბ. ზურაბ ავალიშვილს არ აპატივებს, არ დაუვიწყებს.

ბ. ბებურიშვილს უნდა გული გაუგრილოთ, დავამშვიდოთ, ვსთხოვოთ, რომ ყველა ქართველს თავი ანებოს. აქაც, ემიგრაციაში ბევრი ქართველი ცოტა სხვა გვარად აფასებს ბ. ზურაბ ავალიშვილის ამ „სიტყვის ბრძანებას“.

საქართველოზე კი მონოპოლია ბ. ბებური-

შვილისათვის, ჯერ არავის მიუცია.

მეოთხე: „რა პოლიტიკური და მორალური უფლება გაქვთ ბ. ზურაბ! საკითხი ასე წარმოადგინოთ? ვის ინტერესებს იცავთ?“

გამოდის, „ლრმად პატივცემულ“ ბ. ზურაბ ავალიშვილს შესძლებია სხვისი ინტერესების დაცვა და არა ქართული ინტერესებით ხელმძღვანელობა ამა თუ იმ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირ - ბოროტო საკითხების გარკვევის დროს. ეს ხომ მოღალატეობის დაწამებაა ლრმად პატივცემულის. უნებლიერ მაგონდება გაბალშევიკებული ჯარის კაცების ხშირი წამოძახება: „იზმენა“, „იზმენნიკ“ ბოლშევიკურ მიტინგებზე მოწინააღმდეგეორატორების ყოველ სიტყვაზე. თურმე 20 წელი, რომელიც ბოლშევიკურ ვაკეანალიის დასაწყისს გვაშორებს ჩვენ, არ ყოფილა საკმარისი, რომ ამ ბოლშევიკურ პსიხოლოგიიდან განვთავისუფლებულიყოთ.


მუხუთე: „კავკასიის ხალხები დადუმებულნი არიან, მათ ენაზე მძიმე ბოქლომია (კლიტე) დადებული და ბ. ზურაბ ავალიშვილი ამ ჯოჯოხეთურ ამბავს საბუთად ხმარობს და ამით ბოროტმოქმედებასაც სჩადის — ვისთვის? რისთვის?“.

ბ. ბებურიშვილი ალბად ვერ ამჩნევს, რომ ბოროტმოქმედების ჩადენა საკუთარ სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ, ეს სამშობლოს ღალატია, ისეთი დანაშაული, რომლის გამო დამნაშავეს სიკვდილით სასჯელი მოელის. „პროკურორიც“ ასეთი უნდა!

მკითხველი ხედავს, რომ ამ პატარა წერილში ხუთი უდიდესი ბრალდებაა წამოყენებული, წვრილმან უმართებულებას, რომ თავი დავანებოთ.

ბ. ბებურიშვილი ბრძანებს, რომ ბ. ავალიშვილს დასახელებულმა წერილმა ქართველთა შორის ემიგრაციაში აღშფოთება გამოიწვია. მე კი აქ, ხმა შალლა უნდა განვაცხადო, რომ პირიქით, ბ. ბებურიშვილის ეს უმართებულო წერილი იწვევს სამართლიან აღშფოთებას და ბევრი ქართველის გულის წყრო-

მას. ნეტავ როდის უნდა დავანებოთ თავი სხვის აზრების წინააღმდეგ ბრძოლას გამარაცე-თი ყოვლად დაუშვებელი მეთოდებით? ბ. ბებურიშვილი რუსულ - ჩინოვნიკურ სულზე ლაპარაკობს. თუ სუნზე მიღვა საჭმე და არა საღაო კითხვის დადინჯებულად, დალაგვაბულად მსჯელობა - გამორკვევაზე, რომლის მაგალითს მართლაც ლრმად პატივცემულ ბ. ზურაბ ავალიშვილის წერილი იძლევა, მე არ შემიძლია ჩემი ლრმა პროტესტი არ განვაცხადო იმ სუნის წინააღმდეგ, რომლითაც არის გაუღენთილი მთლად ბებურიშვილის წერილი. ამის შემდეგ მეც უფლება მაქვს ვსთქვა, რომ ეს სუნი ძალიან წააგავს ფილიპე მახარაძის წერილების სუნს „მოგზაურ“-ში ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. და ხომ ვიცით, რა სამარცხვინო, სავალალო როლი ითამაშეს ამ წერილებმა? ეტყობა — საქართველოს ამ ეროვნულ უბედურებასაც ვერ უსწავლებია ჩვენთვის ჭკუა და დღესაც შეგნებულად თუ შეუგნებლად — ეს სულ ერთია — იმასვე ჩავდივართ, რაც ყოველთვის დასაგმობი უნდა ყოფილიყო. ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია საგნის გულგრილად აწონ - დაწონვა, ჩვენი ქვეყნის ბრძოლას კითხვების ყოველ მხრივი, დადაზჯებული რკვევა. ვის აქვს უფლება სათქმას, რომ მე უკეთესი პატრიოტი ვარ, მე ყველაზე მეტად შეჟტკივა გული სამშობლოს ბედ-იღბალზეო! ცნობილია ხომ ლეონიძეს, ერეკლე მეორის კანცლერს და თვით ერეკლე მეფის შორის აზრთა სხვა და სხვაობა. ერთი ვადაჭრით წინააღმდეგი იყო რუსთა გაბატონებისა საქართველოს მიწა - წყალზე და ამას ბოროტებად სთვლიდა, მეორეს, პირიქით, იმ პირობებში, ეს საქართველოსათვის სასარგებლოდ მიაჩნდა. ვის მოუბრუნდება ახლა ენა სთქიას, რომ ან ერთი ან მეორე ნაკლები პატრიოტი იყო. ან კიდევ: რომელი მეტი პატრიოტი იყო, გრიგოლ ორბელიანი 1832 წლის შეთქმულობის ერთი ხელმძღვანელთაგანი, რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანების აღვ-



ზნებული მომხრე, თუ ივანე აბხაზი; რომლი-
სთვისაც რუსეთის წასვლა საქართველოდან
დიდი უბედურება იყო და თვის ქვეყნისათ-
ვის სასარგებლოდ მიაჩნდა რუსების სულ
ცოტა 100 წლით მაინც საქართველოში და-
რჩენა. ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლე-
ბა მრავალი. ვთიქრობ ესეც საკმარისია.

ყოველთვის ასეთ მწვავე კითხვების გადა-
ჭრის დროს ცივი გონებაც არის საჭირო და
გრძნობაც. ეს ორი ელემენტი აუცილებლო-
ბასაც კი შეაღგენს. მისტიკისა კი რა მოგახ-
სენოთ. მხოლოდ ერთია საღი, ჯანმრთელი
გრძნობა და მეორეა ისტერია ავადმყოფო-
ბით, ნერვიულობით გამოწვეული. სამწუხა-
როდ ჩვენ უფრო ხშირად უკანასკნელის მსხ-
ვერპლი ვართ. საიდან მომდინარეობს ეს
არა სასურველი მოვლენა, ძნელია ამაზე გა-
დაჭრით რამის თქმა. მაგრამ საფიქრებელი
კია, რომ ეს ისტორია უმთავრესაც ჩვენში
გავრცელებულ მალარიით უნდა აიხსნებო-
დეს. ღმერთი, რჯული! არავისი პირადათ
შეხება არ მინდა, მაგრამ ბ. ბებურიშვილის
წერილი აშკარად ამ ავადმყოფობის ნიშნებს
ატარებს. ამ მხრივ, უნდა გამოვტყიდეთ:
ბევრ კარგ ქართველს წარსულში დიდი ბრა-
ლიც მიუძლვის ჩვენი ხალხის წინაშე. საჭმე-
იქამდე მივიდა, რომ ინგლისელებს ბათუმის
გამო თითქმის ომიც კი გამოუცხადეთ. ჰოგი
ერთი ქართველის ამბავი რომ ვიცი, ის მთელ
მსოფლიოსაც გამოუცხადებს ომს, მხოლოდ
მართლა ბრძოლა დაიწყება თუ არა, უმაღვე-
ზურგს უჩვენებს მტერს. ნეტავ რას ვჩეარობ-
დით ამ ინგლისელების გარეკვას? იქნებ ესეც
იყო ერთი მიზეზთაგანი, რამაც საქართველო-
ში რუსეთის შემოსვლა დააჩქარა.

სან რემოშიც, სადაც კავკასიის სვე - ბეჭა
სწყდებოდა დიდი სახელმწიფოების მიერ, ამ
ელემენტმა — ჩვენმა გულწასულობამ, ის-
ტერიკობამ, ერთნაირი უარყოფითი როლი
ითამაშა და ხომ ვიცით, რომ ამ ხალხთა საც-
ჯავროზე კავკასიის ხალხების შეუთანხმებ-
ლობამ რა საბედისწერო, გამოუსწორებელი


ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას.

ბატონებო! დროა ერთხელ მაინც მომიტობას!
ზულად ჩაუკვირდეთ ჩვენს მდგომარეობას!
ნუ წარმოიდგენთ, რომ საქართველოს საკი-
თხის გადაჭრა ადვილი საქმე იყოს. ის ჯერ
კიდევ მრავალ - მრავალ სიძნელეთ დაგვიუ-
ნებს წინ. ყოველ ეროვნულ, განმათავისუფ-
ლებელ ბრძოლას, მით უმეტეს ჩვენს ქვეყა-
ნას ესაჭიროება მოკავშირენი. ამ მოკავშირე-
ბის ძებნა, მათი პოვნა და მერე კიდევ შე-
ძენა არც ისე ადვილი მოსახერხებელია, რო-
ცა ჩვენ გვიხდება ამ სარბიელზე ორ ფრონ-
ტზე ბრძოლა. სამხრეთზე და ჩრდილოეთზე.
აი აქ დგება ყოველ ქართველისათვის საბე-
დისწერო, გულსაკლავი, მწვავე საკითხი:
ჩრდილოეთი პყრობს მთელ საქართველოს.
ამით საქართველოს სახელიც კი პოლიტიკურ
რუკიდან სავსებით წაშლილია. სამხრეთს კი
უკავია საქართველოს მხოლოდ ერთი ჩვენ-
თვის ტკბილი, სანატრელი ნაწილი. ცივი გო-
ნება, მრავალი მშრალი მოსაზრება ულტი-
მატიურად გვიკარნახებს — სამხრეთ მეზო-
ბელთან მორიგებას, რომ ამით ხელები გა-
შლილი გვქონდეს, ზურგი გამაგრებული ჩრ-
დილოეთის წინააღმდეგ, რომლის ბატონობა
საქართველოს ნრული მოსპობაა. დიალ, ცი-
ვი გონების ბრძანება ასეთია. მორიგება სამ-
ხრეთით. გრძნობა ამას, რასაკვირველია, ასე
ადვილად ვერ დაემორჩილება. ეს გასაგებია.
და მე გონების თვალით წარმომიდგენია, რომ
თვით ერეკლე მეფესაც, უკანასკნელ გადა-
წყვეტილების უამს, საქართველოს უზენაესო-
ბის დაკარგვის კაეშანი სხვას უკარნახებდა,
მაგრამ ცივმა გონებამ დასძლია და მან სხვა
ინება...

აი მხოლოდ ასე უნდა დგებოდეს საკითხი,
როცა ჩვენი ქვეყნის სვე - ბედს ვეხებით.
აქ ყოვლად დაუშვებელია და თუ გნებავთ,
დანაშაულიც რომელიმე ქართველის გულში
ხელის ფათური და ასეთ ბრალდებათა წამო-
ყენება. დროა ეს შევიგნოთ.

ბერლინი, 20

დ. საღირაშვილი



የኢትዮጵያ ይጠናል

საქართველოში ხვრეტა გრძელდება. კვირა არ გავა, რომ „კომუნისტი“ ახალ სენსაციებს არა სწერდეს და ხვრეტის ამბავს არ გვატყობინებდეს. ქართველების ხვრეტა ბოლშევიკების შემოყვანისთანავე ჭარტყებული, ჩვენთვის გასაკვირველი არ არის. მაგრამ ერთი რამ კი გამოიცვალა. თუ დღემდის მხოლოდ ისეთ ქართველებს ხვრეტდენ, რომლებიც არ ურიგდებობნენ გარეშე მტრის მიერ სამშობლოს დაპყრობის ამბავს, ახლა სწორედ ისეთი ხალხი იხვრიტება, რომელიც ამ უცხო ძალას წინ უძლოდა და ვინც ამ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში პატიოსან ქართველებს ხვრეტდა, ასახლებდა და სამშობლოდან ერეკებოდა. იხვრიტება ვითომ იმავე საქართველოსათვის, რომელსაც ისინი ასე დაუზოგავად ანადგურებდნენ.

პარადოქსი იქნებოდა, რომ სინამდვილე
სხვა იყოს. ჩვენ არ გვწამს ის „პატრიოტიზმი“
რომლითაც ბუღუ მდივანი და მისი ამხანაგე-
ბი სუნთქავდნენ. ეს პატრიოტიზმი უფრო
ბოროტი სულის ბორგვა იყო, ვიდრე კეთილ-
შობილი გრძნობა.

ერთი კი ცხადი ხდება ყველასათვის, რომ
რუსული ბოლშევიზმი თავის პირველყოფილ
მიზანს აღარა მალავს: ქართველების რუსულ
რასაში გათქვებას და მათ სრულ რუსიფიკა-
ციას. პირველი ეტაპი ბუდუ მდივნის მსგა-
ვსმა ქართველებმა გულმოდგენეთ შეასრუ-
ლეს და როდესაც მავრი აღარ წავიდა—მა-
ვრი ძალით წაიყვანეს. ბოლშევიზმი რომ რუ-
სული იმპერიალიზმის პირ-ბადეა, იასონ
ჯავახიშვილმა ნათლად განმარტა 1925 წელს
„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტე-
ტის“ გასამართლების დროს.

ქართველი ბოლშევიკების ჩვიდმეტი წლის

მოლვაწეობამ უკვე თვალსაჩინო ნაყოფი გა-
მოიღო. სადაც არ გაიხედავთ ყველგან „მავ-
ნებლობა“, „დივერსია“, „საბოტაჟი“, „გამ-
ცემლობა“ და საბჭოთა სხვა ამგვარი მშვე-
ნიერება ყოფილა.

მართალია ეს თუ არა - ამას მნიშვნელობა
არა აქვს. მთავარია, რომ ამის გამო ხალხი
იხვრიტება. სამწუხარო ის იქნებოდა თუ კო-
მუნისტების პროვოკაციას სხვა გულნატკენი
და გულუბრყვილო ქართველიც წამოეგო.
მაგრამ ჩვენ ეს არა გვჯერა. საყურადღებოა
მხოლოდ ის, თუ რას ფიქრობდნენ ბ. მდივანი
და მისი ამხანაგები, რომ ეგრედ წოდებულ
საქართველოს „განდგომისათვის“ ასეთ „მავ-
ნებლებს“, „დივერსანტებს“, „საბოტაჟი-
კებს“ და „გამცემებს“ უყრიდა თავს. რა სა-
ხელმწიფო უნდა ააშენოს იმ მეთაურობაშ
რომელსაც ეს მავნებლობა კულტად ჰქონია
ქვეული?

ცნობილია, რომ ჩეხებს უჭირდათ ეროვნული ჯარის შექმნა, რადგან ჯერ კიდევ დიდი ომის დროიდან, დეზერტირობას ჩეხი პატრიოტულ საქმედ სთვლიდა. ასევე დაემართათ ქართველ მენშევიკებს, რადგან მთელი მათი „რევოლუცია“ ჯარის გახრწნაზედ იყო დაშენებული; მათ არ მოინდომეს რომ დამოუკიდებელ საქართველოს მაგარი ჯარი ჰყოლოდა. მენშევიკების უთავბოლო პაციფიზმა და განსაკუთრებით მათმა „ნეიტრალიტეტმა“ სახელმწიფო დაგვაკარგვინა, ბოლშევიკებმა კი ფიზიკურად გაგვანადგურეს. ყოველივე ეს ერთი და იგივე რიგის მოვლენა იყო.

ლებელია. ეს იარაღია ეროვნული დისტრიბუტორინა. ეროვნულის შეგნებით და სამოქალაქო მორალით განმტკიცებული.

სწორედ ასეთ ქართულ მორალურ ძალაზედ მოიტანეს იერიში ქართველმა კომუნისტებმა და დღეს ისინი იხვრიტებიან, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი.

ეს კარგი მაგალითია ყველა მათთვის ვინც ფიქრობს, რომ დღეს ანტი ეროვნულ ძალად მოვლენილი, ხვალ არხეინად ეროვნულ ენერგიად გადაიქცევა. ამნაირმა ეროვნულმა ამორალობამ დალუპა ქართული მენშევიზმი, ეს ამბავი ლუპავს „ქართულ“ ბოლშევიზმს დღეს. საქართველოს მხოლოდ მაშინ გაუადვილდება რუსეთთან ბრძოლა, როდესაც ჩვენში სავსებით გაქრება როგორც ამ „ქართული“ მენშევიზმის, ისე იმ „ქართული“ ბოლშევიზმის“ სული, ორივე რუსული პოლიტიკის იარაღი ჩვენში და ორივე რუსული ბატონობის ნაშთი საქართველოში.

როდესაც გამარჯვებულმა ავსტრიელებმა იტალიაში სასტიკი რეჟიმი შემოიღეს, ხალხი დიდი უკმაყოფილებით შეხვდა. იტალიელმა ოფიცირებმა, პროტესტის ნიშნად სიგარის წევაზედ ხელი აიღეს. მათ სხვა პატრიოტებიც აჰყვნენ და სიგარის წევა ღალატის ნიშანი გახდა. რა თქმა უნდა იტალია ამით მტერს დიდ ზიანს ვერ მიაყენებდა, სამაგიეროთ თითონ იტალიამ გამოიჩინა ეროვნული სულის ძლიერი დისტრიბუტორინა. სწორედ ამ ეროვნულმა შეგნებამ გაანთავისუფლა იტალია და შეუქმნა დღეს რომის იმპერია.

ეროვნული კულტურული მუზეუმი

როდესაც კითხულობ კომუნისტების გასა-
მართლების ანგარიშებს, ბრალდებულობით
სულდაცემულობით აღსავსეს, უნებლიერ
გვაგონდება წარსული წლების ბრძოლა კო-
ტე აფხაზის მეთაურობით. შედარება შეურა-
წყოფა იქნება მათთვის, ვინც შექმნა ნამდვი-
ლი ეროვნული მოძრაობა და ბრძოლა .

შთავარი შტაბის დახვრეტამ, რომელსაც
კოტე აფხაზი უდგას სათავეში, ერში ძლიერი
სული დაატრიალა. სიმართლე მოითხოვს
ითქვას, რომ ეროვნული ძალების კონცენტ-
რაცია და ბრძოლაში აკტიურად ჩაბმა მა-
თმა სიკვდილმა დაბადა. მათი გმირული სიკ-
ვდილის ხმა მთელ ქართველ ხალხს ჩასწრდა.
და ამ გაერთიანების დუღაბად იქცა. იგივე
განმეორდა აგვისტოს დღეებში 1924 წელს.

ამ აჯანყების პათოსი თვით კომუნისტე-
ბსაც კი მისწრდა. ჩეკისტების თვითმკვლელო
ბის ეპიდემია, აგვისტოს აჯანყების დღეებში
ამით იყო გამოწვეული.

